



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ნინო ბენდელიანი*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *სოფიო გოცირიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *გიორგი ხუციშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მანანა ჭიჭინაძე*

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	230091414
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონის წერეთლის ქუჩა N11
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეორე სვირი
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	

დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 4 25 0000723523; 23.06.2025 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9-10 ივლისი 2025 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული <i>“ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი”</i> -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

1	ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში” სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში”	ქართული		45
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ რეკომენდირებული რაოდენობა 30

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

მიმდინარე წლის 9-10 ივლისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის საბავშვო ბაღში განხორციელდა ვიზიტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულების პერსონალი გამოხატავდა მიმღებლობას და პოზიტიურ განწყობას ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტებიც ასევე პოზიტიურად იყვნენ განწყობილი პერსონალის მიმართ. დაწესებულებაში პროცესი წარიმართა წინასწარ გაწერილი და შეთანხმებული დღის წესრიგის გათვალისწინებით. ორივე მხარემ ზუსტად იცოდა, თუ რა დროს რა ტიპის აქტივობა უნდა განხორციელებულიყო. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წინასწარ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული ქონდა მეთოდოლოგიური დოკუმენტები და ასევე მარეგულირებელი წესები, თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგიის და მათ მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისი მტკიცებულებები. დაწესებულება ასევე გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, თუმცა არის შემთხვევები, რომ სტანდარტის კომპონენტს არ შეესაბამება აქტივობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული საკითხის გამოსწორებისკენ.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.		
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება	☐ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება

- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

- 1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია ხედვა ღირებულებების დოკუმენტი, დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად:

- 1. ჩვენ გვესმის, რომ ბავშვობა არის ღირებული პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ მრავალფეროვან (ჰოლისტურ)განვითარებასთან ერთად გთავაზობთ სასიამოვნო და პოზიტიურ გამოცდილებებს.
- 2. ჩვენი მისიაა შევქმნათ , ინკლუზიური სასწავლო გარემო, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად თავდაჯერებულ და ემპათიურ ინდივიდებად, რომლებიც მზად არიან მიიღონ სამყარო.

3. ჩვენი მისიაა ოჯახებთან და საზოგადოებასთან პარტნიორობით განვავითაროთ პატარები, თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით, ხელი შეუწყოთ სხვადასხვა ბაზისურ განვითარებას, სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას.
4. ჩვენ უზრუნველყოფთ სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისათვის მზადებას.

დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

დაწესებულების მისია უნდა იყოს მოკლე, ძირითადად რამდენიმე წინადადებისგან შედგენილი განაცხადი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ/ძირითად დანიშნულებას. მისია არის ძირითადი მიზანი, რისთვის შეიქმნა ორგანიზაცია, იგი არის მიზანზე ორიენტირებული და როგორც წესი ჟღერს ამაღლებულად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს ხედვა 2029 წლისთვის ელექტრონული სისტემების განვითარების გზით თემისა და ოჯახის ჩართულობის გაზრდა და ამით ბავშვების ემპათიურ ინდივიდებად ჩამოყალიბება, 2029 წლისთვის სრულად ეკომეგობრული სისტემის შექმნა, ასევე გაერთიანებაში შემავალ ყველა სტრუქტურულ ერთეულში ინკლუზიური გარემოს შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ყველა ბავშვზე.

დაწესებულების ღირებულებებია:

მხიარული მოკვლევა: თამაშის ძალის შეფასება, როგორც სწავლის, ცნობისმოყვარეობის, კრიატულობასა და აღმოჩენის საფუძველს მხიარულ გარემოში. ურთიერთობის განვითარება: ბავშვების, მასწავლებლებისა და ოჯახებს შორის პოზიტიურ ურთიერთობების მხარდაჭერის და ნდობის შეფასება.

სოციალურ ემოციური განვითარება: სადაც უზრუნველყოფილია ბავშვების მხარდაჭერა თვითშეგნების, კომუნიკაციის უნარებისა და თანაგრძნობის განვითარებაში.

ინდივიდუალურობა და ინკლუზია: თითოეული ბავშვის უნიკალური ძლიერი მხარეების, ინტერესების შეფასება, უზრუნველყოფილია, რომ ყველა გრძნობდეს თავს უსაფრთხოდ და თანასწორად.

ცნობისმოყვარეობა და ინტერესი: ბავშვებში დასწავლისადმი სიყვარულის გაღვივება ბავშვის წახალისებით, დასვას კითხვები, განივითაროს შესაძლებლობები და აღმოჩენით მიიღოს სიხარული.

დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანება (22 მაისი 2025 წლის ბრძანებაN 294) დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული დევევმის მონიტორინგისა და შეფასების წესი“ სადაც განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესის მე-4 და მე-5 მუხლების საფუძველზე განსაზღვრულია მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ვალდებულება, კერძოდ: მეოთხე მუხლის მიხედვით დაინტერესებულ მხარეებად ითვლებიან ა) გაერთიანების წარმომადგენლები; ბ) განყოფილებების წარმომადგენლებ; მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი; ე) თემის პარტნიორი ორგანიზაციის ან დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი ვ)ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 2025 წლის 30 აპრილის N258 ბრძანება, მაშინ როცა რეგულაცია დამტკიცებულია 22 მაისს და ითვალისწინებს შესაბამისი ჯგუფის შექმნას

განსაზღვრული ჩართულობის პრინციპების დაცვით, შესაბამისად სამუშაო ჯგუფის შექმნა რეგულაციის დამტკიცებამდე არ შეესაბამება რეგულაციის მოთხოვნებს და არ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სრულფასოვან ჩართულობას, რაც იწვევს შეუსაბამობას წარმოდგენილ ბრძანებასა და სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის.

ინდიკატორი მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში და ჯგუფის დაკომპლექტება მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით, კერძოდ სამუშაო ჯგუფის შექმნა, სტრატეგიული დაგეგმვის წესით და სამუშაო ჯგუფის ოქმში თითოეული წარმომადგენლის ფორმისა და როლის განსაზღვრით. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N294 -ით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზდის დაწესებულებების გაერთიანების „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-8 მუხლის მიხედვით გაწერილი აქვს მისი

ხედვის და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი, მაგალითად დაწესებულების ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნება, საჯარო ღონისძიებები, (შეხვედრები, ვორქშოფები და ა.შ.), ბეჭდვითი მასალები, (ფლაერები, ბანერები და ა.შ) ელექტრონული პლატფორმები (მაგ. ზუმი და თიმსი), დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულებას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საინფორმაციო შეხვედრებზე დასწრების რეესტრი სადაც წარმოდგენილია ბალების წარმომადგენლების სახელობითი სია და თემად განსაზღვრულია დამტკიცებული მისია, ხედვა ღირებულებების გაცნობა გაზიარება.

დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სამუშაო ჯგუფის ოქმი (29.05.2025 წლის N1 ოქმი) სადაც დასტურდება მისია ხედვა ღირებულებების გაცნობა, გაზიარება. დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობისთვის დაწესებულებას არ აქვს გამოყენებული არცერთი მის მიერ შემუშავებული მექანიზმი, რითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N294 -ით დამტკიცებული ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და წესის მიხედვით მე-8 მუხლის შესაბამისად დოკუმენტის საჯაროობა, რათა უფრო მეტი დაინტერესებული მხარე იყოს ინფორმირებული.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით, კერძოდ:

- 1.სამუშაო ჯგუფის შექმნა.
2. შემუშავებული დოკუმენტაციის გაზიარება დაინტერესებულ პირებთან დამტკიცებული რეგულაციის მიხედვით,
3. სტრატეგიული დოკუმენტის (მისია ხედვა, ღირებულებები) ფართო გავრცელება და გაზიარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან
4. მისია, ხედვა, ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა რეგულაციით გათვალისწინებული საშუალებებით, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათზეწვდომა და რეალური ჩართულობის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1. მისია ხედვა ღირებულებების დოკუმენტი
- 2. „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“ ბრძანება N 294 (22 მაისი 2025 წელი)
- 3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სამუშაო ჯგუფის 29.05.2025 წლის, ოქმი N1 სამუშაო ჯგუფის მიერ მისია ხედვა ღირებულებების გაცნობა გაზიარების შესახებ
- 4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სამუშაო ჯგუფის 07.05.2025 წლის, ოქმი N2; სამუშაო ჯგუფის მიერ მისია ხედვა ღირებულებების შერჩევა და დამტკიცება.
- 5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მისა ხედვა და ღირებულებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შქმნის შეაახებ 30.04.2025 წლის N258 ბრძანება.
- 6. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საბავშვო ბაღების საინფორმაციო შეხვედრის რეესრტი N1; N2და N3

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისს ბრძანება N 294 „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“ რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს სადაც განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, წესი ასევე ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას:

ა) გაერთიანების წარმომადგენლები

ბ) განყოფილების წარმომადგენლები

გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაცია საბჭო

ე) თემის/პარტნიორი ორგანიზაციის/დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

ვ) ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტის წარმომადგენელი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა, რომელიც იქნება ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაში იქნება დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და შეიცავს თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა სადაც განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, კონკრეტული ქმედებები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით სამოქმედო გეგმა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, კონკრეტული ქმედებები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
კერძოდ:

1. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით
2. სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო შეხვედრების/პროცესის წარმართვა.
3. სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება
4. სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის
5. მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება
6. სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, აღნიშნული გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია ვადები და კონკრეტული აქტივობები, თუმცა გეგმა არ ითვალისწინებს, თუ რა სტანდარტის მოთხოვნით გათვალისწინებული კომპონენტისგან ჩამოყალიბდება სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმა უნდა მიემართებოდეს აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნით სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების შესრულების გაზომვად ინდიკატორებს რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია ‘
2. მეთოდოლოგიის შესაბამისა, აღნიშნული ჩარჩოს შევსება.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისს N294-ი ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. არსებული მექანიზმი ასახავს მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობას, რაც ოპტიმალურ შესაძლებლობას ქმნის გეგმების დროული გადახედვისა და შეფასებებისთვის, ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის ფორმა პროცესის თანმიმდევრულობა და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისს N294-ი ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგვმის მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. არსებული მექანიზმი ასახავს მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობას, რაც ოპტიმალურ შესაძლებლობას ქმნის გეგმების დროული გადახედვისა და შეფასებებისთვის, ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის ფორმა პროცესის თანმიმდევრულობა და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N294
2. შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

- 1) 1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.
- 2) 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დადაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
(ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N 308. 29/05/2025). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი I (დანართი N4) და ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი II (დანართი N4).
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული.
(ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N 308. 29/05/2025). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: სასკოლო მზაობის პროგრამა - აქტივობათა კრებული - I ნაწილი (დანართი N4) და სასკოლო მზაობის პროგრამა - აქტივობათა კრებული - II ნაწილი (დანართი N4) 29.05.2025).

დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა მტკიცებულება ბრძანებაში ცვლილების შესახებ (N 446. 02/07/2025), რომლის თანახმად ა (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისათვის დამტკიცებული აქვს შერჩეული კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

დაწესებულებას კურიკულუმების- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში არ აქვს წარმოდგენილი მეთოდური სახელმძღვანელო „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (აღმზრდელის სახელმძღვანელო).

დაწესებულებამ ასევე მტკიცებულების სახით ვერ წარმოადგინა ბრძანება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბრძანება N296. 22/05/2025) მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა) „ა“ პუნქტში (კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ა (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

მოხდეს კურიკულუმის შერჩევის პროცესის ფორმალიზება და დოკუმენტური დასაბუთება, დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ უზრუნველყოს კურიკულუმის -სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-ს დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში დამტკიცებული მეთოდური სახელმძღვანელოს „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (აღმზრდელის სახელმძღვანელო)- საგანმანათლებლო პერსონალისთვის გაცნობა და იმპლემენტაცია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანების შექმნისა და დაწესებულების კურიკულუმების (ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“) დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში მეთოდური სახელმძღვანელოს „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ -აღმზრდელის სახელმძღვანელოს წარმოდგენის შესახებ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნა; 2. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანებაში ცვლილების შეტანა); შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - საადმინისტრაციო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში; საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კავშირის დამყარებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტიური განვითარების ხელშეწყობას, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი N5. ბრძანება N296. 22.05.2025); აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის, პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად გაერთიანება შერჩეულ კურიკულუმ(ებს) უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, გაერთიანების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი; გაერთიანება კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7. ბრძანება N293. 22.05.2025). აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო გეგმების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად გაერთიანების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა)პირისპირ შეხვედრები, ბ)მატერიალური კორესპოდენცია, გ)მოკლექტესტური შეტყობინებები, 4)სატელეფონო ზარები, 5)სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

დაწესებულებამ წარმოდგენა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N 12 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც კურიკულუმის გაცნობის მიზნით გაწერილი აქვს პერსონალთან, ოჯახთან და თემთან შეხვედრები. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საბავშვო ბაღების საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია (სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეხვედრის ოქმი, აღმზრდელ-პედაგოგებთან შეხვედრის დასწრების უწყისები) შერჩეული კურიკულუმის გაცნობა/გაზიარების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

დაწესებულებამ შეიმუშაოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს პირისპირ შეხვედრის დადასტურების მტკიცებულებები. ასევე მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს კურიკულუმები ერთმანეთისაგან და მათი გაზიარების პროცესის შესახებ ინფორმაციის ასახვისას გამოიკვეთოს, რომ მოხდა როგორც ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-ს, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-ს გაზიარება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ (N296; 22.05.2025).
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელია აღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება N446; 02.07.2025)
3. დანართი N4 - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - ნაწილი I, ნაწილი II;
4. დანართი N4 - სასკოლო მზაობის პროგრამა-აქტივობების კრებული - I ნაწილი, ნაწილი II;
5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (N293. 22.05.2025).
6. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ (N307; 29.06.2025).
7. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა
8. სტრუქტურული ერთეულების საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის ოქმი-კურიკულუმის გაცნობის მიზნით (N2)
9. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეხვედრის ოქმი შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით (N1)
10. შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით სტრუქტურული ერთეულების საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის დასწრების უწყისი

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება N297-22.05.2025), მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად: 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები). 2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს; 3. გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. 4. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. 5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ)ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ)თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ)სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე)ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღმზრდელების მიერ წარმოებული გრძელვადიანი (წლიური) და

მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმები, რომლებიც არ იყო დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ასევე წარმოადგინა ბრძანება „სხვადასხვა საგანმანათლებლო და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად ფორმების დამტკიცების შესახებ“ (N265. 01/05/2025), აღნიშნულ დოკუმენტში ფიქსირდება მხოლოდ ფორმების დასახელება, არ არის წარმოდგენილი დანართები. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი წინ უსწრებს, როგორც ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანებას N296; 22.05.2025, ასევე კურიკულუმის დამტკიცების ბრძანებას (ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო „თამაში“ 2-დან 5- წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება N446; 02.07.2025)

დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა გაერთიანების მმართველის ბრძანება გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

საგანმანათლებლო პროცესის დადგენის პერიოდულობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის დაწესებულებამ განახორციელოს თანმიმდევრული სამუშაოები მისივე მარეგულირებელი წესის შესაბამისად. კერძოდ: შექმნას სამუშაო ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული დაგეგმვის ფორმები დაამტკიცოს უფლებამოსილი პირის ბრძანებით მარეგულირებლის შესაბამისად, დანერგოს აღნიშნული ფორმები პრაქტიკაში.

ბრძანება „სხვადასხვა საგანმანათლებლო და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად ფორმების დამტკიცების შესახებ“ მოვიდეს მარეგულირებელ წესთან შესაბამისობაში.

რჩევა

დაწესებულებამ გააკეთოს რევიზია დამტკიცებული და მოქმედი ფორმების და დატოვოს მხოლოდ ის ფორმები, რომელიც აუცილებელი პროცესის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ; დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნა; 2. ჯგუფის მიერ შერჩეული და ა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმები, სადაც გაწერილია აღმზრდელის მიერ აქტივობები და განსაზღვრულია ბავშვთა საჭიროებები; 3. პრაქტიკაში აღნიშნული ფორმების დანერგვა; 4. მონიტორინგის განხორციელება დამტკიცებული და მოქმედი ფორმების შესაბამისად და მხოლოდ იმ ფორმების

გამოყენება, რომელიც აუცილებელი პროცესების ეფექტიანი განხორციელებისთვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (ბრძანება N297-22.05.2025), მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეოთხე პუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

აღვიწივ ვიზიტისას დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცებისა და გეგმების თანამონაწილეობით შედგენის პროცესის ამსახველი მასალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

აღრეული განათლების დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გეგმის/გეგმების თანამონაწილეობით შემუშავება მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცებისა და გეგმების თანამონაწილეობით შედგენის პროცესის შესახებ; დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1. პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ; 2. მარეგულირებელი წესის შესაბამისად თანამონაწილეობით შემუშავებული გეგმა/გეგმები; 3. დამტკიცებული გეგმა საგანმანათლებლო პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა.), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები

(მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N297-22.05.2025) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ: მაგალითად, დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.

აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს გრძელ - და მოკლევადიან გეგმებს, რომლებიც არაა შედგენილი მარეგულირებელი წესის მიხედვით და არ არის თანხვედრაში კურიკულუმთან. ასევე, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები არ წარმოადგენს მარეგულირებელი დოკუმენტის დანართს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს. დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალისა და კვლევის შესახებ თუ რა საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე; დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების დადგენა; 2.ერთ ბავშვზე გასათვალისწინებელი საგანმანათლებლო რესურსის დადგენა; 3.საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალის დამტკიცება), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა არ შეესაბამება ინდიკატორის აღწერას და ვერ უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას, ვინაიდან დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მარეგულირებელი წესის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის უზრუნველყოფის წესი-ბრძანება N297-22.05.2025) შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაციის ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების ასახვის შესახებ.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება არ იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N297-22.05.2025) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.

შექმნილი დოკუმენტაცია არ ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს რაც ვლინდება შემდეგში:

დღის გეგმების, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები არ წარმოადგენს მარეგულირებელი დოკუმენტის დანართს; აღმზრდელები აფიქსირებენ ბავშვების ინდივიდუალურ პროგრესს და ასახავენ მას დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერებში, თუმცა ეს ჩანაწერები არ არის წარმოებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ მარეგულირებელი წესის შესაბამისად განსაზღვრულ დოკუმენტაციაში, დღის გეგმაში ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებების ასახვის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დღის გეგმების შედგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებები), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვებს ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.

ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) წარიმართება თამაშით ან რიტუალიზებული მოქმედებით; გამოიყენება სიმღერა, ცეკვა ტრანზიციის წინ მოტივაციის ასამაღლებლად; ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. აქტივობიდან აქტივობაზე (მაგ. ხატვიდან კითხვის კუთხეში, სენსორული კუთხიდან დასვენებაზე) გადასვლა წარიმართება სიმღერით, სიტყვიერი რიტუალით, მოძრაობითი იმიტაციით ან თამაშით, რაც დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუებით და გარემოს ვიზუალური დათვალიერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელებთან ინტერვიუებისა და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ ეზოში თავისუფალი, თუმცა ნაკლებად ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. დაწესებულების ეზოში დგას: ერთი სასრიალო და ორო საქანელა, ასევე ხის შენობა მცირე ჯგუფისთვის განკუთვნილი, სკამებისა და მაგიდის გარეშე, ასევე ეზოს ტერიტორიაზე არ დგას სკამები, მაგიდები. ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გარე სივრცე კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად მოწყობის შესახებ, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1. საჭიროებების დადგენა. 2. შესაბამისი ადამიანური და ფინანსური

რესურსის მოძიება. 3. გარე გარემოს მოწყობა, ისე რომ შეესაბამებოდეს კურიკულუმის მოთხოვნებს), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით: ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს დამტკიცების შესახებ ბრძანება (N 297; 22.05.2025).

მე-5 მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა): 1. დაწესებულების მიერშერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. 2) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. 3) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს. 4) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. 5) საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას. 6) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების მმართველის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად. 7) დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავლო ეროვნულს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც წარედგინება გაერთიანების მმართველს და მტკიცდება კურიკულუმთან ერთად, თუმცა აღნიშნული ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. (წარმოადგინა მხოლოდ სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც შემუშავებულია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.)

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება N 267; 01.05.2025 - საგანმანათლებლო ნუსხის დამტკიცების შესახებ, თუმცა ბრძანებას თან არ ახლავს კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი დანართის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდება დამტკიცებული წესის შესაბამისად; ასევე წესის თანახმად დაწესებულებამ ბრძანებით დაამტკიცოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა; მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა განხორციელდეს საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით.

რჩევა

განახლდეს საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტი (ჩატარდეს ინვენტარიზაცია).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის ბრძანებით დამტკიცების შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1. ინვენტარიზაციის ჩატარება. 2. საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების დადგენა. 3. ერთ ბავშვზე გასათვალისწინებელი საგანმანათლებლო რესურსის დადგენა. 4. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვლის დამტკიცება), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, კერძოდ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საინვენტარიზაციო აღწერა.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა, საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ისინი ამ რესურსს დაწესებულების თანამშრომელთა და მშობელთა ჩართულობით აგროვებენ, შესაბამისად წარმოადგინა აქტი, თანამშრომელთა მიერ სათამაშოების საჩუქრად გადაცემის შესახებ (რესურსის ჩამონათვალთ), რომელიც დათარიღებული არ არის.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, ორგანიზაცია „World Vision Georgia“-ს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში სათამაშოებისა და საკანცელარიო ნივთების გადაცემის შესახებ, დოკუმენტები დათარიღებულია 2019 წლის 30 სექტემბერსა და 2020 წლის 22 სექტემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოს მისი შეძენა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1. საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნა კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. 2. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვლის დამტკიცება), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა

წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (ბრძანება N297-22.05.2025) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი და ცენტრების ვიზუალური მინიშნებები წარწერით. რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებზეც განთავსებულია მასალის აღმნიშვნელი წარწერები, არ აქვს ვიზუალური და ტაქტილური მინიშნებები ან ქარხნული წესით მასზე დატანილია მასალის შესაბამისი ვიზუალური ნიშანი; ჯგუფებში წარმოდგენილა სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის (მაგნიტური დაფა), რომელსაც თავად ბავშვები იყენებენ, ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვებისთვის უსაფრთხოა.

ჯგუფის ოთახების კედელზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა მშობლებისათვის; დაწესებულებას აქვს მოძრავი საქვიშე (პლასტმასის), რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც შიდა ისე გარე სივრცეში, სენსორული თამაშების განხორციელებისათვის. ბაღს აქვს დარბაზი, სადაც განთავსებულია ბატუტი და გამოიყენება ფიზიკური აქტივობებისათვის. ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას გათვალისწინებულია ბავშვის სიმაღლე.

ჯგუფის გარემოში, ზოგიერთ სივრცეს არ აქვს შესაბამისი ვიზუალური ნიშანი (მაგ. განმარტოების სივრცეში დგას მცირე ზომის სახლი, 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი, რომელიც აღჭურვილია რბილი ავეჯით: ბალიშებით, რბილი იატაკით, თუმცა ცენტრს არ აქვს შესაბამისი ვიზუალური ნიშანი). ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ არ არის გამოყოფილი ერთმანეთისგან (სამი მხრიდან).

გარე სივრცეში/ეზოში მოხდეს შესაძლებელია ფიზიკური აქტივობების განხორციელება, განთავსებულია საქანელები (2) და სასრიალო, ერთი მცირე ზომის შენობა (2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი) მაგიდისა და სკამების გარეშე, რომელიც სრულფასოვნად არ გამოდგება დრამატული თამაშებისათვის. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი: არ აქვთ სივრცე დრამატული თამაშებისათვის: მაგიდა, სკამები, ბალი ან ბოსტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს, რომ გარემოში მრავალფეროვანი სივრცეების მოწყობა და მრავალფეროვანი მასალით მომარაგება უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობას მათი ინტერესების და განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად. გარემო მარტივად აღქმადია და მინიმუმამდეა დაყვანილი შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი შემთხვევები-რას გულისხმობს შემდეგი დეტალების გათვალისწინებას: ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრებს ჰქონდეს შესაბამისი ვიზუალური ნიშანი (ნახატი წარწერით) და მკაფიოდ იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან (სამი მხრიდან). გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიშე, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.მრავალფეროვანი სივრცეების მოწყობა. 2. მრავალფეროვანი მასალით მომარაგება კურიკულუმის შესაბამისად), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას.

კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახუროდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც თემატურად არის ჯგუფის სხვადასხვა კუთხეში (ცენტრები არ არის მკვეთრად გამოყოფილი, შესაბამისად ვერ მოვიხსენიებთ ამგვარ განლაგებას „ცენტრებად“) განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე, მაგრამ არ არის ორგანიზებული.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ეზო არ არის აღჭურვილი ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს. წარმოდგენილია: ადგილი ბურთის თამაშისათვის (ეზოს საფარი არის ბუნებრივი გამწვანების), ეზოში დგას ასევე მცირე ზომის ხის შენობა სახურავით სკამებისა და მაგიდის გარეშე, რომელიც სრულფასოვნად არ გამოდგება დრამატული თამაშების განხორციელებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გარე სივრცეში რესურსების ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისად და რესურსები ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისათვის.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების შიდა და გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (24 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.რესურსებით უზრუნველყოფა. 2. რესურსების ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობა), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩითა და ფარდით, სადაც ბავშვებს განმარტოების საშუალება აქვთ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ბაღში არის ასევე დარბაზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვების შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვება, ბავშვების შესახებ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტების დანახვას და ამ ფაქტების დოკუმენტირება (ჩაწერა), დაფიქსირება, თუ რას აკეთებს ან ამბობს ბავშვი.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: ჩანაწერების გაკეთება, კითხვარები, ჩეკლისტები, ცხრილები, პორტფოლიოს წარმოება.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ გამოყენებული დაკვირვება და შეფასება არათანმიმდევრულია, არ არის დათარიღებული.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (ბრძანება N297. 22/05.2025), მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მესამე პუნქტის თანახმად: შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების მმართველის ბრძანებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება სხვადასხვა საგანმანათლებლო და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N265. 01.05.2025), პირველი პუნქტის მიხედვით დამტკიცებული ფორმები: ა) ბავშვის განვითარების პორტფოლიო. ბ) 5-6 წლიანთა განვითარების კითხვარი ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. გ) 2-3 წლიანთა განვითარების კითხვარი ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. დ) ბავშვის უნარებიუს ჩეკლისტი. ე) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა. ვ) რეიტინგული შკალა. ზ) 4-5 წლიანთა განვითარების კითხვარი ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. თ) მეთოდისტის შეფასების ჩანაწერი. ი) საბავშვო ბაღის შიდა მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი. კ) ბაღის აღმზრდელის კგუფის გრძელვადიანი სტანდარტული გეგმა. ლ) მოკლევადიანი გეგმის ფორმა. მ) ლოგოპედის წლიური სამოქმედო გეგმა. ნ) ფსიქოლოგის წლიური სამოქმედო გეგმა. ო) ლოგოპედის და ფსიქოლოგის კვირის გეგმა.

თუმცა დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით წარმოადგენილი ბრძანების „სხვადასხვა საგანმანათლებლო და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად ფორმების დამტკიცების შესახებ“ (N265. 01/05/2025) თარიღი არ შეესაბამება კურიკულუმისა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თარიღს, შესაბამისად დამტკიცებული ფორმები მარეგულირებელი წესის მიხედვით არ არის შემუშავებული და მარეგულირებელი წესის დანართს არ წარმოადგენს. ბრძანებაში არ არის მითითებული დასახელებული ფორმების შესაბამისი დანართები; ჩამონათვალის ნუსხაში გამოტოვებულია ბავშვზე დაკვირვების ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულების მხრიდან ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების წარმოება უნდა მოხდეს მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების წარმოების შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.კითხვარები, ჩეკლისტები, ცხრილების შედგენა და დამტკიცება. 2.საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჩანაწერების გაკეთება, შესაბამისი დათარიღებით. 3.პორტფოლიოს წარმოება.), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N297 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში (ფიზიკური და სენსორული განვითარება; სოციალურ-ემოციური განვითარება; კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება; შემეცნებითი განვითარება; დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება); გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მრავალფეროვან მეთოდებს: ჩანაწერების გაკეთება, მოკლე კითხვარების ჩეკლისტები, ცხრილები, პორტფოლიოს წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N297 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს, დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ამ ეტაპზე შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულება ცვლილებების ეტაპობრივად განხორციელებას გეგმავს მომდევნო გეგმურ ციკლში. რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულების მხრიდან ბავშვზე დაკვირვება, შეფასების წარმოება, შეფასების შედეგების განსაზღვრა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/მოდულიზირება განხორციელდეს მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის NN297 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მე-8 მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მე-6 პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი, მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული პერიოდულობით ინდივიდუალურად ხვდებიან მშობლებს. აცნობენ მიღწეულ შედეგებს, ხელს უწყობენ მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ ბავშვის დაკვირვების, შეფასებისა და ოჯახის ჩართულობის პროცესი წარმართოს მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 5ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანება N296; 22.05.2025
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება N446; 02.07.2025)

3. დანართი N4 - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - ნაწილი I, ნაწილი II; დანართი N4 - სასკოლო მზაობის პროგრამა-აქტივობების კრებული - I ნაწილი, ნაწილი II
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.
5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-N293; 22.05.2025
6. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025
7. დანართი N 19 - დღის განრიგი;
7. ბრძანება სხვადასხვა საგანმანათლებლო და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანებაN265.01/05/2025)
8. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
11. მიღება-ჩაბარების აქტები, ორგანიზაცია „World Vision Georgia“-ს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში სათამაშოებისა და საკანცელარიო ნივთების გადაცემის შესახებ.
12. აქტი თანამშრომელთა მიერ სათამაშოების საჩუქრად გადაცემის შესახებ.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☒

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირის მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N296 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შესაფასებლად, ყოველწლიურად დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი შეფასებისას ყურადღებას აქცევს შემდეგ მიმართულებებს: ა)

საგანმანათლებლო პროცესის შეფასება: ბ) ფიზიკური გარემოს შეფასება; გ) მშობლების უკუკავშირი; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია.

ამ ეტაპზე შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიუხედავად, ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულება ცვლილებების ეტაპობრივად განხორციელებას გეგმავს მომდევნო გეგმურ ციკლში. რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N296 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმად, კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; დ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა/გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმში შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა. თემის ცვლილება და კორექტირება კურიკულუმში ხდება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და ჩანს აღმზრდელ-პერაგოგის/აღმზრდელების

რეფლექსურ ჩანაწერებში.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1. დანართი N 5 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანება N296; 22.05.2025
- 2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება N446; 02.07.2025)
- 3. დანართი N4 - ადრეული განათლების კურიკულუმში თამაში - ნაწილი I, ნაწილი II; დანართი N4 - სასკოლო მზაობის პროგრამა-აქტივობების კრებული - I ნაწილი, ნაწილი II;
- 4. დანართი N6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება N297-22.05.2025);

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

- 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა: ა) ა) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N293 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, შეიმუშავეს საკომუნიკაციო გეგმას, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, გასახორციელებელი თვეები და პასუხისმგებელი პირები. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა წესი, მაგალითად, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (ბავშვის მომზადება ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის, შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება მშობლებთან; კურიკულუმის გაცნობა მშობლებთან, დაგეგმილი პროცესების განხილვა; შეხვედრები გაერთიანების ბავშვის მენეჯერებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება; ტრენინგი: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა განათლება; მშობელთან ბავშვის შეფასების გაცნობა; დაწესებულების სამოქმედო გეგმის გაცნობა; წლიური ანგარიშის პრეზენტაცია); დაწესებულება შეხვედრებს გეგმავს მომდევნო გეგმურ ციკლში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ და (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. დოკუმენტი მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან .

თუმცა, დოკუმენტაციაში არ ჩანს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა წახალისოს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში.

წახალისების მექანიზმი აისახოს შესაბამის მარეგულირებელ წესში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისების განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში ცვლილების შეტანა, სადაც გათვალისწინებული იქნება მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისება. 2.დაინერესებული მხარეებისათვის გაცნობა), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N293 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, არნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) მატერიალური კორესპონდენცია; გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საჭიროების შემთხვევაში ზავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით აღმზრდელ-პედაგოგებისა და და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის მონაწილეობით იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით ასევე იყენებენ სატელეფონო ზარებს, დახურულ ჯგუფებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-N293; 22.05.2025
3. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სფეროების შესახებ დაკავშირებით. შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში (ტრენინგები: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა განათლება).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N297 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს უზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს უზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. იღებს უკუკავშირს და ითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

მშობლები ინფორმირებული არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუებისას.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამზრდელებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია თემში არსებული სხვადასხვა რესურსი. მაგალითად, საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ აქტივობებს თემში არსებული რესურსის გამოყენებით: აწყობს ექსკურსიებს, იწვევს ბაღში სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებს (მაგალითად-ექიმის ვიზიტი ბაღში). ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ბაღი აქტიურად იყენებს სოფელში არსებულ სკოლას, ასევე დაწესებულებას წინასწარ აქვს გათვლილი პროექტები: ბიბლიოთეკა, სკოლა, მუზეუმი და ამისათვის აქტიურად იყენებს თემში არსებულ რესურსებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, თემში არსებული რესურსების გათვალისწინება დაიგეგმოს აღმზრდელის გრძელვადიან, წლიურ გეგმებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის (N 293; 22.05.2025) თანახმად აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე საჭიროებები ჯერ სრულად არ არის გაწერილი და გაანალიზებული, თუმცა დაწესებულების მეთოდისტი და აღმზრდელები გეგმავენ, რომ უკუკავშირის ფორმების საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასების სტრუქტურირებული მიდგომა.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება (ასევე გაწერილია მექანიზმში) დაწესებულება გეგმავს განხორციელოს ცვლილებები მშობელთა/თემის წარმომადგენელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანება N296; 22.05.2025
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელია აღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო



„თამაში“ 2-დან 5- წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება N446; 02.07.2025

3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-N293; 22.05.2025
5. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025
6. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი 22.05.2025 წლის ბრძანება N298 დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული საქმიანობის შესაბამისი ორგანოგრამა:

- 1.სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
2. I-II ცვლის აღმზრდელი;
- 3.მუსიკის სპეციალისტი;
- 4.აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა);
5. მზარეული;
- 6.2 დარაჯი.

დასაქმებულ პერსონალს მათი პოზიციებიდან გამომდინარე გადანაწილებული აქვთ ფუნქცია მოვალეობები, ასევე თანამშრომლის ჩანაცვლების საკითხი, რომელიც დადგენილია სამუშაო აღწერილობაში და შრომით ხელშეკრულებებში, 22 მაისის 2025 წლის ბრძანება N298 -ის მე-7-ე მუხლით განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობა დანართის სახით და დამტკიცებულია ბრძანებით ამ წესის დანართი N1 -ის შესაბამისად. (ბრძანება N448, 02.07.2025 წელი)

დაწესებულებას წარმოდგენილი და ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N300 „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ სადაც დანართი N1 განსაზღვრულია აღმზრდელების რაოდენობა, ვინაიდან დაწესებულებას ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა წარმოდგენილი აქვს 85 ბავშვზე დაწესებულებას ჯგუფში დარღვეული აქვს თანაფარდობა აღმზრდელების რაოდენობა ბავშვებთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრულია კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის შესახებ._დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი პერსონალი რის გამოც ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ასევე ვერ ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, აღსაზრდელთა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, შეზღუდული შესაძლებლობებს და ენობრივ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

იმისათვის, რომ პერსონალის კუთხით უზრუნველყოფილი იყოს დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირება, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები;

დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის პერსონალი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ცალკეული ფუნქციისა და პროცესის განსახორციელებლად დაწესებულებას აუცილებლად გამოყოფილი უნდა ჰყავდეს ცალ-ცალკე ადამიანი. კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები მაგალითად გასათვალისწინებელია აღმზრდელ-პედაგოგებისა/აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობა, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. ეს ნორმა უნდა იყოს დაცული.

დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სწორ განაწილებას მათი პოზიციებიდან გამომდინარე.

ასევე დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, რაც ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას და ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის. დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, აღსაზრდელთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებას, შეზღუდულ შესაძლებლობებს, ენობრივ საჭიროებებს და სხვა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. ადამიანური რესურსის რაოდენობის დადგენა
2. საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს შემუშავება
3. უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნა და შეთანხმება

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა-ორგანოგრამა, რომელიც ასახავს თანამდებობრივ დაქვემდებარებას. დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია – 2023 წლის 29 მაისს ბრძანებით N263, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა ფუნქციები. ფუნქციების შინაარსში აღწერილია მათი მოვალეობები, რომელიც ასევე დგინდება ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობებით, დანართი N2-ის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების რეგულაციებზე განსაზღვრულია შემდეგი აქტები: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის დადგენილება N6 - ა(ა) იპ ზესტაფონი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანება „პერსონალის მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და 2025 წლის 2 ივლისის N448 ბრძანება „ა(ა) იპ ზესტაფონი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს, როგორც დირექტორის ასევე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს .

ინდიკატორის მოთხვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია შესაბამისობის მიზნით; სამოქმედო გეგმის შემუშავება იმ თანამშრომლების გადამზადებისთვის , რომლებიც სრულად ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, დაწესებულებამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნები უნდა მოიცავდეს განათლებასთან, კვალიფიკაციასთან, სამუშაო გამოცდილებასთან და საჭირო უნარებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N295 „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, სადაც გაწერილია პროცედურები პირველადი დახმარების შესახებ.

დაწესებულებაში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენცია, არ აქვთ გავლილი ტრენინგი და შესაბამისად არ აქვთ სერთიფიკატები.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა ამ ინდიკატორთან დაკავშირებით, მაგრამ დაგეგმილ აქტივობებში, რომელიც უნდა იყოს მიმართული კონკრეტული საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით არაფერია გაწერილი.



ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებაში დაცული უნდა იყოს ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოება, ამისათვის ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს უნდა ქონდეს გადაუდებელი დახმარების კომპეტენცია, რომელიც დადასტურებული იქნება სერთიფიკატით, დიპლომის დანართით და სხვა. დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებაში უნდა განაახლოს შესაბამისობის გეგმა, ისე რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ყველა საჭირო აქტივობა ვადები და პასუხისმგებელი პირები, შესაბამისობის გეგმა სრულად უნდა მოიცავდეს სამოქმედო ნაბიჯებს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. უფლებამოსილი ორგანოს მოძიება
2. უფლებამოსილ ორგანოსთან ხელშეკრულების გაფორმება
3. საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული 22 მაისის ბრძანება N298 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად. შემუშავებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, დაწესებულების სტრუქტურა სამუშაო აღწერილობა კადრების მოზიდვა და შერჩევა, ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის გზები პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია 2023 წლის 29 მაისის N263 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან. დაწესებულებაში დასაქმებულთა სამუშაო განისაზღვრება 40 საათიანი სამუშაო კვირით, კვირაში 5 სამუშაო დღე, დღეში მაქსიმალური 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, დასაქმებულთა ერთსაათიანი შესვენების დროის გამოყენება განისაზღვრება 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე პერიოდში. შესვენების დრო კონკრეტული ამოცანის სპეციფიკიდან და სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაწესებულებაში შესაძლებელია განისაზღვროს განსხვავებულ მონაკვეთში, დასაშვებია შესვენების დროის გადატანა სხვა სამუშაო საათებში, (დასაქმებულთა ასეთ კატეგორიას განეკუთვნება: მზარეული, მზარეულის დამხმარე, აღმზრდელის თანაშემწე, რომელთა შესვენების დროის გამოყენება განისაზღვრება 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე პერიოდში, პირველი, ცვლის აღმზრდელის შესვენების დროის გამოყენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 16-სთ-მდე პერიოდში, ხოლო დარჩენი სამუშაო დრო განსაზღვრულია 18:00 საათიდან დილის 09:00 საათამდე (შესვენების გარეშე) დღეგამოშვებით. დაწესებულებას ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განსაზღვრული აქვს 40 სამუშაო დღით პედაგოგის კატეგორიის მუშაკთათვის (აღმზრდელი, მეთოდისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მუსიკის მასწავლებელი), ხოლო დანარჩენი მუშაკებისთვის 24 სამუშაო დღით. პერსონალს შეუძლია ისარგებლოს შვებულებით მაშინ, როდესაც სკოლამდელ დაწესებულებაში წყდება სასწავლო პროცესი (დაწესებულებების მუშაობის სპეციფიკის და აღსაზრდელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც სრულად ითვალისწინებს სტანდარტის მოთხოვნის შესრულებისთვის საჭირო კომპონენტებს, თუმცა, ადგილზე ვიზიტისას წარმოდგენილი იყო ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა, თუმცა: არ არის განსაზღვრული არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები, რაც წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნის დარღვევას; საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება დღის განმავლობაში არაღერეფანტულია, რაც არ უზრუნველყოფს გონივრულ სამუშაო დაგეგმვას;

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ხელშეკრულებაში განისაზღვროს არა მხოლოდ საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები არამედ არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა.

რჩევა

სასურველია საკონტაქტო და არასაკონტაქტოსათების დღის განმავლობაში რეალისტური და მიზნობრივი განაწილება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული საქმიანობის ეფექტიანობას.



არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობად შეიძლება განისაზღვროს: ინდივიდუალური განვითარების ჩანაწერების მომზადება და განახლება; დოკუმენტების ადმინისტრირება; გუნდის შიდა შეხვედრებისა და დაგეგმვებში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვა და რესურსების მომზადება; პროფესიულ გადამზადებასა და თვითგანვითარებაში მონაწილეობა და სხვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. ხელშეკრულების შაბლონის შემუშავება
2. ხელშეკრულების შაბლონის გაცნობა აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელებთან
3. ხელშეკრულების გაფორმება აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელებთან

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც არ ითვალისწინებს სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს ხელშეკრულების გაცნობა და გაფორმებები აღმზრდელ-პედაგოგებთან/აღმზრდელებთან.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებას შემუშავებული და 2025 წლის 22 მაისის N 298 ბრძნებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მარეგულირებელი წესი“ სადაც მე 9-ე მუხლით გაწერილი აქვს დაწესებულების პერსონალის შერჩევა და პირდაპირი გზით დანიშვნა, თუმცა არ ჩანს ობიექტურობის, სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა და საუკეთესო კანდიდატის შერჩევაზე ორიენტირება.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის დაცვით პერსონალის შერჩევის პროცედურები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანა, სადაც გაწერილი იქნება პერსონალის შერჩევისას გამჭვირვალობის და ობიექტურობის დაცვა.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს დადგენილი და დამტკიცებული 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N298-ის მე-12 მუხლის შესაბამისად სამ პუნქტად გაწერილი ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია, დაწესებულებაში რეგულაციის შემუშავების შემდეგ ახალი თანამშრომელი არ დასაქმებულა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მოქმედებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის N8 დადგენილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურეობრივი ინსტრუქციების ქცევისა და ეთიკის ნორმების მე-7 მუხლის შესაბამისად, სადაც გაწერილია, რომ პერსონალს აქვს კოლეგიალური, პატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა და მუშაობს გუნდურად. პერსონალი მხარს უჭერს თითოეული თანამშრომლის ინიციატივებს და ასევე ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს. პერსონალი ამჟღავნებს



პროფესიულ სოლიდარობას და კოლეგიალობას, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძვნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რომელიც დგინდება ინტერვიუს შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4.1.3 დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისს ბრძანება N298 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, სადაც თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება გაწერილია მე-14 მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, ხოლო რაც შეეხება პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, ამის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტში არაფერია გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის საკმიანობის შეფასება და საჭიროებების მოკვლევა ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. მარეგულირებელ წესის მიხედვით პერსონალის პროფესიული საკმიანობის შეფასების ფორმის შემუშავება.
2. ფორმის პერსონალისთვის გაცნობა
3. ბმანებით ფორმის დამტკიცება

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა წარმოდგენილია დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები. როგორც სტრუქტურირებული და სისტემური პროცესი, რომელიც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების ყველა ძირითად ეტაპს - საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას, პერსონალის განვითარების პროცესი უნდა განხორციელდეს იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. აღნიშნული ასახულია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N304 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება დეტალურად არის გაწერილი ასევე 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში - „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ - რომელიც ითვალისწინებს განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, შესაბამისი ბიუჯეტის

გათვალისწინებას და პროფესიული განვითარების გეგმაში შესაბამისი აქტივობების განსაზღვრას, თუმცა არ იძებნება პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების დოკუმენტურად შემუშავებული ფორმა. და ამ საჭიროებების საფუძველზე შედგენილი პერსონალის განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის ანალიზის შემდეგ, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პერსონალის განვითარების გეგმა/გეგმები. აღნიშნული გეგმა შეიძლება არსებობდეს სამოქმედო გეგმაში. პროფესიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ბიუჯეტით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 19.09.2025 წლიდან 19.09.2026 წლამდე 12 თვის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრა, განსაზღვრული აქტივობებით, პასუხისმგებელი პირებით და შესაბამისი რესურსით და კერძოდ:

1. მარეგულირებელი წესის მიხედვით პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ფორმის შემუშავება
2. პერსონალისთვის ფორმის გაცნობა
3. ბრძანებით ფორმის დამტკიცება
4. პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2025 წლის 22 მაისს ბრძანება N298 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, სადაც თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება გაწერილია მე-14 მუხლის შესაბამისად. სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსერებისა და მათი წახალისების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 26 აპრილის დადგენილება N7
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 02 ივლისის ბრძანება N448 გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილები და სამუშაო აღწერილობის ფორმის შესახებ. (დანართი 1 და დანართი 2)
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N298 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-ს დამტკიცების შესახებ
5. . ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2023 წლის 29 მაისის ბრძანება N263 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
6. . ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N304 „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“-ს დამტკიცების შესახებ დანართი N1; დანართი N2 და დანართი N3
7. შესაბამისობის გეგმა



8. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 22 მაისის ბრძანება N295 „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ
9. დაწესებულების საშტატო ნუსხა
10. თანამშრომლის ხელშეკრულება
11. ორგანოგრამა
12. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1 დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და 22.05.2025 წლის ბრძანება N304-ით დამტკიცებული აქვს „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომელშიც პუნქტობრივად გაწერილია მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესები. დოკუმენტს აქვს დანართები დანართი N1 დაწესებულების პროცესები და მათი აღმწერები.
დანართი N2 რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შაბლონი
დანართი N3 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შაბლონი.



ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

